საქართველოს სპორტის სამინისტროს ანგარიში

2025 წელი

საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

საქართველოს სპორტის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (Eflow) მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სამინისტროში დარეგისტრირდა 15 განცხადება, აქედან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში სრულად დაკმაყოფილდა 6 განცხადება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 6, მოთხოვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2 განცხადების შემთხვევაში, ხოლო 1 განცხადება განხილვის ეტაპზეა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სამინისტროში არ შემოსულა, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებები მიღებული არ ყოფილა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სამინისტროში რეგისტრირებულ განცხადებებთან მიმართებით საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე ნაწილობრივ ან სრულად უარის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჯამში 8 შემთხვევაში, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და მისი ნაწილი წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს ან/და სამინისტროში არ იყო დაცული მოთხოვნილი ინფორმაცია (მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრო დამოუკიდებელ სამინისტროდ ჩამოყალიბდა 2025 წლის 1 იანვრიდან, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის №82-Iმს-XIმპ კანონის საფუძველზე).

მოთხოვნის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულია:

- 1 შემთხვევაში საქართველოს სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის, ირაკლი მეძმარიაშვილის მიერ;
- 2 შემთხვევაში საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის, ლაშა მაღრაძის მიერ;
- 10 შემთხვევაში სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსის, ლევან ჩარგაზიას მიერ, რომელიც საქართველოს სპორტის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განისაზღვრა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად;
- 1 შემთხვევაში სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილის, თამარ გეგეშიძის მიერ, რომელიც საქართველოს სპორტის მინისტრის შესაბამისი ბრძანების

საფუძველზე ასრულებდა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობას.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სამინისტროში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა (Eflow), რომელშიც რეგისტრირდება ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებიც. სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ საჯარო რეესტრს წარმოადგენს სამინისტროს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა (Eflow).

სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა არ გამოვლენილა და შესაბამისად, დისციპლინური სახდელები არ გამოყენებულა.

იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

უარის თქმის/ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებები სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

სამინისტროს არ ჰქონია მის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები (მათ შორის, მხარის სასარგებლოდ) არ გაწეულა.